

ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის ანგარიში

შპს სოლვევა საქართველო

31 დეკემბერი 2024

Contents

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	7
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი,

ისნის რაიონი,

ქეთევან წამებულის გამზირი, № 54

ტ.: + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

Legal address:

Georgia, Tbilisi, Isani district,

Ketevan Tsamebuli avenue, № 54

T.: + 995 322 604 406

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე

შპს „სოლვევა საქართველო“-ს დამფუძნებელს

ჩვენ შევადგინეთ შპს „სოლვევა საქართველო“-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410-ის (გადასინჯული) – „კომპილაციური გარიგებები“ – შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს). ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.


ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

პაატა შურღია

მმართველი პარტნიორი

30 სექტემბერი, 2025



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	240,715	239,915	173,178
		240,715	239,915	173,178
მიმდინარე აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		30,613	177,271	94,843
ფული და ფულის ექვივალენტები	5	449,683	437,440	183,270
გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		44,081	23,079	-
წინასწარ გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტში		7,709	10,253	-
სხვა ინვენტარი		-	-	85
		532,086	648,043	278,198
სულ აქტივები		772,801	887,958	451,376
კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი		164	164	164
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		771,254	878,219	182,040
		771,418	878,383	182,204
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
გრძელვადიანი სესხები		-	-	134,054
		-	-	134,054
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,383	9,575	3,370
გადასახდელი ხელფასები		-	-	128,123
სესხებზე გადასახდელი პროცენტი		-	-	3,117
სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი		-	-	508
		1,383	9,575	135,118
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		772,801	887,958	451,376

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 30 სექტემბერს:

როუვენ ობერპოლცერი

დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (8-14 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან		7,882,764	7,319,699	2,505,786
რეალიზებული პროდუქციის	6	(6,036,744)	(5,547,054)	(1,958,126)
თვითღირებულება				
მთლიანი მოგება		1,846,020	1,772,645	547,660
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,381,472)	(982,761)	(320,716)
საოპერაციო მოგება/ზარალი		464,548	789,884	226,944
ფინანსური ხარჯები		-	(2,133)	(3,121)
სხვა არასაოპერაციო ზარალი		(35,517)	(19,522)	(2,934)
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა		972	-	196
მოგება/ზარალი გაცვლითი კურსის	8	(161,000)	(72,050)	(39,044)
სხვაობიდან				
მოგება/ზარალი მოგების		269,003	696,179	182,041
გადასახადით დაბეგვრამდე				
მოგების გადასახადი		-	-	-
წლის წმინდა მოგება/ზარალი		269,003	696,179	182,041
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
პერიოდისთვის				
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		269,003	696,179	182,041
პერიოდისთვის				

როუვენ ობერპოლცერი

დირექტორი



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (8-14 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარი

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	164	182,040	182,204
მოგება პერიოდის ბოლოს	-	696,179	696,179
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის განმავლობაში მიღებული სრული მოგება	-	696,179	696,179
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული გაზრდა	-	-	-
დივიდენდები	-	-	-
გადარიცხვები დამფუძნებლებთან	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	164	878,219	878,383
მოგება პერიოდის ბოლოს	-	269,003	269,003
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის განმავლობაში მიღებული სრული მოგება	-	269,003	269,003
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული გაზრდა	-	-	-
დივიდენდები	-	(375,968)	(375,968)
გადარიცხვები დამფუძნებლებთან	-	(375,968)	(375,968)
2024 წლის 31 დეკემბერი	164	771,254	771,418

როუვენ ობერჰოლცერი

დირექტორი



კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (8-14 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან წლის მოგება მოგების გადასახადამდე	269,003	696,179	182,041
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	71,188	52,572	14,416
საპროცენტო ხარჯი	-	-	3,117
წმინდა საკურსო სხვაობა	161,000	72,050	39,044
საოპერაციო შედეგები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	501,191	820,801	238,618
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	146,658	(82,428)	(94,843)
ცვლილება სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელებში	-	(508)	508
ცვლილება ინვენტარში	-	85	(85)
ცვლილება გადასახდელ ხელფასებში	-	(128,123)	128,123
ცვლილება გადახდილ ავანსებში	(18,458)	(33,332)	-
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	(8,192)	6,205	3,370
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	621,199	582,700	275,691
გადახდილი პროცენტები	-	(3,117)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	621,199	579,583	275,691
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ფული	(71,988)	(119,309)	(187,595)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(71,988)	(119,309)	(187,595)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან მიღებული სესხი	-	-	134,054
გადახდილი სესხი	-	(134,054)	-
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	-	-	164
გადახდილი დივიდენდი	(375,968)	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(375,968)	(134,054)	134,218
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება საკურსო სხვაობის ეფექტი	173,243	326,220	222,314
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	(161,000)	(72,050)	(39,044)
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	437,440	183,270	-
	449,683	437,440	183,270

როუვენ ობერჰოლცერი

დირექტორი



ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (8-14) გვერდებზე ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „სოლვევა საქართველო“ („კომპანია“) დაარსდა 2022 წლის 23 მარტს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (რეგისტრაციისა და საგადასახადო ID: 406359015; რეგისტრირებული თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ) საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და მდებარეობს საქართველოში.

სოლვევას ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების შექმნა და მიწოდება, ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის კოდი 58.2 (პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა) და 62.09 საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები მიხედვით. ფინანსური ინდუსტრიისთვის კომპანია ქმნის უახლესი თაობის პროგრამულ უზრუნველყოფას, დიდწილად ფოკუსირებულნი არიან სადაზღვევო კომპანიების ბიზნეს პროცესების ტექნოლოგიურ მხარდაჭერაზე

კომპანიის 100% ფლობს Solveva AG, რომელიც ორგანიზებულია შვეიცარიის კონფედერაციის კანონმდებლობით, სარეგისტრაციო ნომრით CHE-114.936.724.

ხელმძღვანელები / ოფიციალური წარმომადგენლები

- დირექტორი - როუენ ობერჰოლცერი.

2024 წელს კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 43 თანამშრომელია.

შპს „სოლვევა საქართველო“-ს 2022 წლის პირველი აგვისტოდან საქართველოს მთავრობის მიერ მინიჭებული აქვს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს რომ მიიღოს მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები. კერძოდ, კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი დაიბეგრება 5%-ით ნაცვლად 20%-სა. ასევე მოგების გადასახადი განისაზღვრება 5%-ით ნაცვლად 15%-სა, გათავისუფლებულია ქონების გადასახადისაგან. ვინაიდან სოლვევა მომსახურებას ეწევა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მისი საქმიანობა გათავისუფლებულია დღგ-ს გადასახადიდან - ჩათვლის უფლებით.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, რომელიც მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ („ზასს“). ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია საქმიანობს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშების ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშებაზე, განხილულია მე-8 შენიშვნაში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9306 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.7020 ლარი და ერთი ევრო 2.8844 ლარი; 2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი და ერთი ევრო 2.9753 ლარი).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალ-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილი იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებაში მისი გაწევისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

3.3 წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდა აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა ეხება აქტივს, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მიიღება საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარ გადახდასთან. თუ არსებობს მითითება, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარებულია წლის მოგება-ზარალში.

3.4 ფული და ფულის ექვივალენტები

ნაღდი და საბანკო ნაშთები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებს.

2024 წლის ბოლოს კომპანიის პროკრედიტ ბანკის საბანკო ანგარიშზე იყო 449,683 ლარი, რაც იყო დაახლოებით 153,444 ევროს ან 160,212 დოლარის ექვივალენტი.

3.5 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს აქციონერის შენატანებს კომპანიის წესდებაში. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლის მიერ. კომპანიის კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

აკუმულირებული ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ ზარალს.

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადებულია.

კომპანიის განთავსებული კაპიტალი ე.წ. საწესდებო კაპიტალი შეადგენს 164 ლარს.

3.6 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85.

2017 წელს და შემდგომში გადახდილი ნებისმიერი დივიდენდის გადასახადის გადახდისათვის, 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან, საგადასახადო კრედიტი ხელმისაწვდომია კორპორაციული საშემოსავლო გადასახადისთვის, რომელიც გადახდილია წინა მოდელის მიხედვით გადანაწილებულ მოგებაზე.

კორპორაციული შემოსავლების დაბეგვრის ამჟამინდელი კონცეფციის თანახმად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს და მათ საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი განსხვავებები არ არსებობს. ამრიგად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 საშემოსავლო გადასახადი, არ ფორმირდება 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ.

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს, შეამციროს მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხა კონკრეტული ხარჯებით, რომლებიც საქართველოში გაწიეს.

- საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს მოქალაქე რეზიდენტი დაქირავებული პირისათვის გადახდილი ხელფასის ხარჯი
- საერთაშორისო კომპანიისათვის ნებადართული საქმიანობ(ებ)ის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები.

გამომდინარე იქედან რომ შპს „სოლვევა საქართველო“ სარგებლობს საერთაშორისო კომპანიის სტატუსით, მოგების გადასახადის გამოთვლა და გადახდა ხდება საქართველოს რეზიდენტი სხვა შპს-ებისგან განსხვავებული მეთოდით, კეროდ კი მოგების გადასახადის განაკვეთი სოლვევასათვის განისაზღვრება არა 15%-ით არამედ 5%-ით.

2024 წელს კომპანიამ გაანაწილა დივიდენდი, რომლის ოდენობამ შეადგინა 130 000 ევრო (375,349.00 ლარი) საერთაშორისო სტატუსის მიღებამდე დაგროვილი მოგების განაწილება სტანდარტულად დაიბეგრა, ხოლო სტატუსის მინიჭების შემდგომ დაგროვილი მოგება კი, უკვე სტატუსის შეღავათებით.

3.7 თანამშრომელთა სარგებელი

მოკლევადიანი თანამშრომლის სარგებელი არის სარგებელი, რომელიც მოსალოდნელია სრულად დაფარული წლიური საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან თორმეტ თვემდე, რომელშიც თანამშრომლები გაწევენ შესაბამის მომსახურებას და მოიცავს:

- ჯილდოებს, ხელფასებსა და ბონუსებს
- ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი;

როდესაც თანამშრომლები მომსახურებას უწევენ კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანია აღიარებს თანამშრომლების მოკლევადიანი სარგებლის არაპროგნოზირებულ თანხას, რომელიც მოსალოდნელია გადაიხადოს ამ მომსახურების სანაცვლოდ:

- როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი), უკვე გადახდილი თანხის გამოქვითვის შემდეგ. თუ უკვე გადახდილია თანხა გადააჭარბებს სარგებლის არა დისკონტირებულ რაოდენობას, კომპანიამ უნდა აღიაროს ეს ჭარბი აქტივი (წინასწარ გადახდილი ხარჯი) იმდენად, რამდენადაც წინასწარი გადახდა გამოიწვევს მომავალი გადახდების შემცირებას ან ფულად ანაზღაურებას.
- ხარჯის სახით, თუ თანხა არ შედის აქტივის ღირებულებაში.

2024 წლის ბოლოს კომპანიის მიერ თანამშრომლებისთვის გადახდილი სარგებლის ჯამურმა თანხამ შეადგინა 7,137,050 ლარი.

3.8 შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას ან მისაღებ საქონელს.

შემოსავალი ნაჩვენებია გაყიდვების/დამატებული ღირებულების გადასახადის, შემოსავლების, ფასდაკლებებისა და ფასდაკლებების გარეშე და ჯგუფში გაყიდვების აღმოფხვრის შემდეგ.

კომპანიას 2022 წლის პირველი პერილიდან სს „სოლვევა AG“-სთან გაფორმებული აქვს სერვისის მიწოდების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კონტრაქტით გათვალისწინებული პროექტის შესასრულებლად სოლვევა AG ყოველთვიურად გადაუხდის სოლვევა საქართველოს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას. ამავე კონტრაქტითაა გათვალისწინებული ანაზღაურების დათვლის მეთოდი, კერძოდ კი პროექტზე მომუშავე სხვადასხვა რაოდენობისა და პოზიციის თანამშრომლებისთვის გადაიხდის სხვადასხვა თანხას.

2024 წელს, ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა 7,882,764 ლარი.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ღირებულება			
2022 წლის 31 დეკემბერი	186,832	762	187,594
შეძენები	119,309	-	119,309
2023 წლის 31 დეკემბერი	306,141	762	306,903
შეძენები	71,988	-	71,988
2024 წლის 31 დეკემბერი	378,129	762	378,891
დაგროვილი ცვეთა			
2022 წლის 31 დეკემბერი	14,352	64	14,416
ცვეთა	52,420	152	52,572
2023 წლის 31 დეკემბერი	66,772	216	66,988
ცვეთა	71,035	153	71,188
2024 წლის 31 დეკემბერი	137,807	369	138,176
საბალანსო ღირებულება			
2022 წლის 31 დეკემბერი	172,480	698	173,178
2023 წლის 31 დეკემბერი	239,369	546	239,915
2024 წლის 31 დეკემბერი	240,322	393	240,715

5 ფული და ფულის ექვივალენტები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	17,844	5,015	-
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	431,839	432,425	183,270
	449,683	437,440	183,270

6 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ხელფასების ხარჯი	5,965,556	5,494,482	1,943,709
ცვეთა	71,188	52,572	14,416
	<u>6,036,744</u>	<u>5,547,054</u>	<u>1,958,126</u>

7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
Remuneration of Labour	1,159,703	600,196	600,196
Rental fee	62,693	91,700	91,700
Consulting expenses	57,947	52,924	52,924
Group Event - Business trip expenses	50,955	173,620	173,620
Other tax expenses	14,605	7,440	7,440
Social accruals	11,791	3,157	3,157
Business trip expenses	6,908	18,896	18,896
Qualifications improving of Employees	6,291	4,704	4,704
Membership fee	3,451	-	-
Office Inventory	2,570	9,204	9,204
Linkedin Expenses	1,733	1,702	1,702
Bank service	1,721	5,119	5,119
Delivery Service	381	1,292	1,292
The cost of posting a vacancy	-	403	403
Other administrative costs	723	12,404	12,404
	<u>1,381,472</u>	<u>982,761</u>	<u>320,716</u>

8 მოგება/ზარალი გაცვლითი კურსის სხვაობიდან

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მოგება გაცვლითი კურსის სხვაობიდან	87,057	118,638	50,734
ზარალი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	(248,057)	(190,688)	(89,778)
	<u>(161,000)</u>	<u>(72,050)</u>	<u>(39,044)</u>

9 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

9.1 ვარაუდი ფუნქციონირებასთან დაკავშირებით

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას მენეჯმენტი აფასებს კომპანიის შესაძლებლობას გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე, ვინაიდან მენეჯმენტს არ აქვს არც განზრახვა და არც საჭიროება კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

10 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს შორის არიან მისი მშობელი კომპანია და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები, ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვები. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა ორი ტიპის ოპერაცია დაკავშირებულ მხარეებთან.

- მომსახურების მიწოდება: Solveva Georgia მომსახურებას აწვდის მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე Solveva AG-ს. 2024 წელს, ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა 7,882,764 ლარი.

10.1 კონტროლირებადი ურთიერთობები

ფილიალის 100%-იანი მეწილე და დამფუძნებელია Solveva AG. კომპანიის დაკავშირებულ მხარეებში შედის მისი მშობელი საწარმო და ძირითადი ხელმძღვანელობა.

11 შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

CERTIFICATE *of* SIGNATURE

REF. NUMBER
BBROU-MJ3SQ-FYWRV-N9VXZ

DOCUMENT COMPLETED BY ALL PARTIES ON
26 SEP 2025 15:28:48
UTC

SIGNER

ROUVEN OBERHOLZER

EMAIL
ROUVEN.OBERHOLZER@SOLVEVA.COM

TIMESTAMP

SENT
26 SEP 2025 11:58:22

VIEWED
26 SEP 2025 15:28:32

SIGNED
26 SEP 2025 15:28:48

SIGNATURE



IP ADDRESS
213.160.62.59

LOCATION
EGG, SWITZERLAND

RECIPIENT VERIFICATION

EMAIL VERIFIED
26 SEP 2025 15:28:32

